ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 140

25 მაისი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ 554 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.023.020) შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიასთვის" (ს/კ: 404851503) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი სერვიტუტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-6 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1.მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ 554 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.023.020) შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიასთვის" (ს/კ: 404851503) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი სერვიტუტის ფორმით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 16 მაისის N18.330.568 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ 554 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.023.020) შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიასთვის" პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, სერვიტუტის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს სერვიტუტის სარგებლობის წლიური საფასური - 8 161 (რვა ათას ასსამოცდაერთი) ლარის ოდენობით.

3. სერვიტუტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის ვადა განსაზღვრულია 25(ოცდახუთი) წლით.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**